შპს სკოლა ნერგები

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

2024–2031

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2024 – 2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმის პროექტს, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. მასში ასახულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, მოსალოდნელიშედეგები შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, მონიტორიგი და ვადები.

შპს სკოლა ნერგები 2002 წლიდან აქტიურადაა საგანმანათლებლო სივრცეში და პროცესში ჩართული.ამ პერიოდიდან მოყოლებული სკოლა ქმნის მოსწავლეთათვის სათანადო პირობებს ეროვნული სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად. დაამკვიდრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შესძინა მათ თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება.
ეფექტურმა მატერიალურმა ბაზამ და შესაბამისმა სასწავლო გარემომ უზრუნველყო მოსწვლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება.
სკოლა ნერგები მზადაა მიიღოს ახალი გამოწვევები, შექმნას თანამედროვე სტანდარტების კონკურენტუნარიანი სკოლა და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , როგორიცაა ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

მისია

სკოლის მისიაა მოამზადოს ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, აქტიური და სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნება, რომელიც იქნება ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნება. მოამზადოს მოსწავლეები წარმატებული მომავალი ცხოვრებისათვის, რათა სკოლის კურსთამთავრებულებმა შეძლონ თავისუფლად დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში.

სკოლის მიზანი:

შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები როგორც საქართველოში არსებული ასევე საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად.

სკოლის ღირებულებები:

სკოლის ფუნდამენტური ღირებულებებია:

1. გუნდურობა
2. განვითარებაზე ზრუნვა;
3. ინოვაციურობა;

სტრატეგიული მიზნები:

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სკოლამ განსაზრვრა კონკრეტული ამოცანები

სტრატეგიული მიზანი N1

სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა

სტრატეგიული მიზანი N2

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი N3

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება

სტრატეგიული მიზანი N 4

უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზანი N 5

სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიული მიზანი N1 სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა					
ამოცანები	მოსალოდნელი შედეგი	პასუხისმგებელი პირები	მონიტორინგი	ვადები	შეფასება
1.1. სასკოლო სასწავლო გეგმაში მიმდინარე ცვლილებების და მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინება მოსწავლეთა მიღწევებზე;	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წარმატებული შედეგები; მოტივაციის ზრდა.	მასწავლებლები	ხარისხის მენეჯერი	2024-2031	
1.2. სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნით;	ინფორმაცია მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ;	ხარისხის მართვის მენეჯერი,ფსიქოლოგი	დირექტორი	2024-2031	
1.3.სასკოლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება	ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა	დირექტორი მოადგილე; პედაგოგიური საბჭო;	ხარისხის მართვის მენეჯერი	2024-2031	
1.4. სასწავლო პროცესის მონიტორინგი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება	ხარისხის მართვის მენეჯერი/ დირექტორის მოადგილე	დირექტორი	2024-2031	
1.5. მშობელთა ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში	ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრება მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის	მასწავლებლები, დამრიგებლები, ფსიქოლოგი.	დირექტორის მოადგილი	2024-2031	

1.6. მოსწავლეთა მასტიმულირებელი ბერკეტებისა წამახალისებელი ფორმების ეფექტურად გამოყენება	მოსწავლეთა მოტივაციის ზრდა	ბუღალტერი.	დირექტორი	2024-2031	
1.7. საკლუბო და საწრეო მუშაობის გაუმჯობესება (საგნობრივი კლუბები და წრეები)	არაფორმალური განათლების განვითარება; განვითარებული სოციალური უნარები; თვალსაწიერის გაფართოება	მასწავლებლები	ხარისხის მენეჯერი	2024-2031	
1.8. დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისა და დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა		მასწავლებლები	ხარისხის მენეჯერი; დირექტორის მოადგილე	2024-2031	
1.9. სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მასწავლებელთა,მოსწავლეთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროების კვლევის მიზნით	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება	დირექტორის მოადგილე, ხარისხის მენეჯერი,დამრიგებელი	დირექტორი	2024-2031	
1.10.დიფერენცირებული სწავლება	მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა	დირექტორის მოადგილე; მასწავლებლები	ხარისხის მენეჯერი;	2024-2031	

სტრატეგიული მიზანი N2 **მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**	

ამოცანები	მოსალოდნელი შედეგი	პასუხისმგებელი პირები	მონიტორინგი	ვადები	შეფასება
2.1 სასწავლო გარემოს აღჭურვა თანამედროვე ინფრასტრუქტურით და უახლესი სასწავლო რესურსებით	სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება	ბუღალტერი ორგანიზატორი	დირექტორი	2024-2031	
2.2 ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა სხვადასხვატიპის ლიტერატურით და ელექტრონული რესურსით	საბიბლიოთეკო რესურსის განახლება	ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი	დირექტორი	2024-2031	
2.3 სასკოლო ინვენტარის განახლება შეძენა	განახლებული სასწავლო გარემო	ბუღალტერი.	დირექტორი	2024-2031	
2.4 ეზოს და სკოლის კეთილმოწყობა,კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება	განახლებული სასწავლო გარემო	ბუღალტერი,ხელოსანი	დირექტორი	2024-2031	
2.5. ფიზიკის,ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტების ცდების ჩატარებისთვის აუცილებელი მასალების მომარაგება	განახლებული სასწავლო გარემო	ბუღალტერი,შესაბამისი კათედრა	დირექტორი	2024-2031	
2.6. ვებ-გვერდის განახლება	განახლებული ვებ-გვერდი	ბუღალტრეი, საქმისმწარმოებელი, ორგანიზატორი	დირექტორი	2024-2031	
2.7. დახურული ტიპის სპორტული დარაბაზის მშენებლობა	განახლებული სასწავლო გარემო	ბუღალტერი,ხელოსონი	დირექტორი	2024-2031	
2.8. თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სკოლის აშენება	განახლებული სასწავლო გარემო	ბუღალტერი	დირექტორი	2024-2031	

სტრატეგიული მიზანი N3 ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება					
ამოცანები	მოსალოდნელი შედეგი	პასუხისმგებელი პირები	მონიტორინგი	ვადები	შეფასება

3.1. ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭიროებების დადგენა	საჭიროებების დადგენის შემდეგ არსებული მდგომარეობის ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა	ხარისხის მენეჯერი	დირექტორი დირექტორის მოადგილე	2024-2031	
3.2. მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარება	მაღალკვალიფიციური კადრის არსებობა	ხარისხის მენეჯერი	დირექტორი	2024-2031	
3.3. ადმინისტრაციისათვის პროფესიული ტრენინგების ჩატარება	მაღალკვალიფიციური კადრის არსებობა	ხრისხის მენეჯერი	დირექტორი	2024-2031	
3.4. თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება და წახალისება;	მაღალკვალიფიციური კადრები, განჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა; მოტივაციის ზრდა	ხარისხის მენეჯერი,ფსიქლოგი,დირექტორიე მოადგილ.	დირექტორი	2024-2031	
3.5 მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა.		დირექტორის მოადგილე,ტუტორები	დირექტორი	2024-2031	

სტრატეგიული მიზანი N4 **უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა**					
ამოცანები	**მოსალოდნელი შედეგი**	**პასუხისმგებელი პირები**	**მონიტორინგი**	**ვადები**	**შეფასება**
4.1. ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის განახლება.	უსაფრთხო გარემო	ბუღალტერი, მნე	დირექტორი	2024-2031	
4.2. დაცულობის ატმოსფეროს თანამშრომლობითი კულტურის ზრდის	სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა	ადმინისტრაცია, სამოქალაქო განათლების	დირექტორი	2024-2031	

ხელშეწყობა	მაქსიმუმის გამოვლენა, პასუხისმგებლობის გადანაწილება	მასწავლებლები.			
4.3. სასკოლო სივრცეში არსებული წესების დაცვა	უსაფრთხო გარემო	უსაფრთხოების მენეჯერი;	დირექტორი	2024-2031	

სტრატეგიული მიზანი N 5 **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**					
ამოცანები	**მოსალოდნელი შედეგი**	**პასუხისმგებელი პირები**	**მონიტორინგი**	**ვადები**	**შეფასება**
5.1. მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნების ჩატარება	სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება	ბუღალტერი,დირექტორის მოადგილე	დირექტორი	2024-2031	
5.2.მშობელთა მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება	საბიბლიოთეკო რესურსის განახლება	ბუღალტერი, დამრიგებლები ორგანიზატორი	დირექტორი	2024-2031	
5.3 მშობელთა კრების და ინდივიდვალური შეხვედრების ორგანიზება	განახლებული სასწავლო გარემო	ფსიქოლოგი,დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე	დირექტორი	2024-2031	
5.4 სასწავლო ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება	განახლებული სასწავლო გარემო	დირექტორის მოადგილე,ხარისხის მენეჯერი,ორგანიზატორი	დირექტორი	2024-2031	